

რამ პოლიტიკეს
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2021 წელი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....3-6

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 7

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 8

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება..... 9

ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშგების წარმდგენი პირის ძირითადი საქმიანობა----- 11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების მიმოხილვა----11-18
3. ძირითადი საშუალებები -----19
4. არამატერიალური აქტივები -----20
5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები -----20
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები -----21
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ----- 21
8. გრძელვადიანი სესხები ----- 21
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ----- 22
10. საოპერაციო შემოსავალი(ამონაგები) ----- 22
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება -----22
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები -----23
13. მიწოდების დანახარჯები ----- 23
14. სხვა ხარჯები ----- 23
15. ფინანსური შემოსავალი ----- 24
16. ფინანსური ხარჯი ----- 24
17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა -----24-26
18. იჯარები -----26-27
19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები -----27
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები -----27-28
21. სასამართლო პროცესები -----28
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ----- 28

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგება -----29-35



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „რამ პოლიტექსი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რამ პოლიტექსი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“-აბზაცში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად სახსრებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2022 წლის 06 სექტემბერს, შესაბამისად 2021 წლის ბოლოს ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობების სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 10 450 832 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალური მარაგების 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს უმოდრაო ერთეულებს, ჯამური ღირებულებით 971 010 ლარი. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 2 „სასაქონლო-მატერიალური მარაგები“(ბასს 2) მოთხოვნების შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალური მარაგები უნდა შეფასდეს უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ფასს შორის. მენეჯმენტმა 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგები წარადგინა ისე, რომ არ განუსაზღვრია ზემოთ

მოცემული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი მტკიცებულება მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საჭირო ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების ანგარიშგების ელემენტებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე, გარდა მიწისა მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობით. მოცემული თარიღისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოთაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და მდგომარეობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 12 546 634 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან და მასთან დაკავშირებულ ცვეთის ხარჯთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისაგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს)“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც მოცემულია, რომ კომპანიის დაგროვილი ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 3 508 779 ლარს (2020წ: 5042508), წლის მოგებამ შეადგინა 1479592 ლარი (2020წ ზარალი: 4392303). მაგრამ, კომპანიას აქვს ლიკვიდურობის დეფიციტი და სესხები. ეს მოვლენები და პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული ფაქტის გამო.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.“

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგებ“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობითი ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა

მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება

ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.
- დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს ბესტ აუდიტი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2022 წელი

ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნუნუ ფაცაცია (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს ბესტ აუდიტი-ს სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2022 წელი

შპს რამ პოლიტექსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	12 546 634	11 486 805	9 594 041
არამატერიალური აქტივები	4	1 086	1 346	1 556
სულ გრძელვადიანი აქტივები		12 547 720	11 488 151	9 595 598
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	201 616	560 337	3 366 591
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	5 322 193	6 319 891	4 777 646
მარაგები	7	10 450 832	6 547 872	3 410 784
საგადასახადო აქტივები		623 693	232 682	395 409
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		16 598 334	13 660 782	11 950 429
მთლიანი აქტივები		29 146 054	25 148 933	21 546 027
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		500	500	9 432
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3 508 779)	(5 042 508)	(650 204)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		(3 508 279)	(5 042 008)	(640 772)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	10 092 840	10 742 854	8 773 332
ანარიცხები		11 446	5 329	2 913
გადავადებული შემოსავალი		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10 104 286	10 748 184	8 776 245
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	22 027 114	19 049 754	13 410 555
გადასახდელი პროცენტი		522 933	393 003	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		22 550 047	19 442 757	13 410 555
მთლიანი ვალდებულებები		32 654 333	30 190 941	22 186 799
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		29 146 054	25 148 933	21 546 027

ფინანსური დირექტორი
შახინ რზაევი
29 სექტემბერი 2022 წელი

მთ.ბუღალტერი
ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს რამ პოლიტექსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	12 546 634	11 486 805	9 594 041
არამატერიალური აქტივები	4	1 086	1 346	1 556
სულ გრძელვადიანი აქტივები		12 547 720	11 488 151	9 595 598
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	201 616	560 337	3 366 591
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	5 322 193	6 319 891	4 777 646
მარაგები	7	10 450 832	6 547 872	3 410 784
საგადასახადო აქტივები		623 693	232 682	395 409
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		16 598 334	13 660 782	11 950 429
მთლიანი აქტივები		29 146 054	25 148 933	21 546 027
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		500	500	9 432
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(3 508 779)	(5 042 508)	(650 204)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		(3 508 279)	(5 042 008)	(640 772)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	10 092 840	10 742 854	8 773 332
ანარიცხები		11 446	5 329	2 913
გადავადებული შემოსავალი		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10 104 286	10 748 184	8 776 245
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	22 027 114	19 049 754	13 410 555
გადასახდელი პროცენტი		522 933	393 003	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		22 550 047	19 442 757	13 410 555
მთლიანი ვალდებულებები		32 654 333	30 190 941	22 186 799
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		29 146 054	25 148 933	21 546 027

ფინანსური დირექტორი

შახინ რზაევი

29 სექტემბერი 2022 წელი



მთ.ბუღალტერი

ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს „რამ პოლიტექსი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	10	25 223 430	18 803 158
თვითღირებულება	11	(20 731 305)	(15 451 104)
საერთო მოგება		4 492 126	3 352 054
სხვა შემოსავლები		134 153	206 677
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(3 971 298)	(2 629 545)
მიწოდების დანახარჯები	13	(1 069 018)	(524 324)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		1 983 091	(3 681 240)
სხვა ხარჯები	14	(24 786)	(736 038)
საოპერაციო მოგება		1 544 268	(4 012 416)
ფინანსური შემოსავალი	15	32 677	14 548
ფინანსური ხარჯი	16	(97 354)	(394 435)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(64 676)	(379 887)
მოგება დაბეგვრამდე		1 479 592	(4 392 303)
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		1 479 592	(4 392 303)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			-
მთლიანი სრული შემოსავალი		1 479 592	(4 392 303)

ფინანსური დირექტორი

შახინ რზაევი

29 სექტემბერი 2022 წელი

მთ.ბუღალტერი

ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს „რამ პოლიტექსი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	10	25 223 430	18 803 158
თვითღირებულება	11	(20 731 305)	(15 451 104)
საერთო მოგება		4 492 126	3 352 054
სხვა შემოსავლები		134 153	206 677
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(3 971 298)	(2 629 545)
მიწოდების დანახარჯები	13	(1 069 018)	(524 324)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		1 983 091	(3 681 240)
სხვა ხარჯები	14	(24 786)	(736 038)
საოპერაციო მოგება		1 544 268	(4 012 416)
ფინანსური შემოსავალი	15	32 677	14 548
ფინანსური ხარჯი	16	(97 354)	(394 435)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(64 676)	(379 887)
მოგება დაბეგვრამდე		1 479 592	(4 392 303)
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		1 479 592	(4 392 303)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			-
მთლიანი სრული შემოსავალი		1 479 592	(4 392 303)

ფინანსური დირექტორი

შახინ რზაევი

29 სექტემბერი 2022 წელი



მთ.ბუღალტერი

ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს „რამ პოლიტექსი“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	9 432	(650 204)	(640 772)
წმინდა მოგება	-	(4 392 303)	(4 392 303)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	(8 932)	-	(8 932)
პერიოდის სრული შემოსავალი	(8 932)	(4 392 303)	(4 401 235)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	500	(5 042 508)	(5 042 008)
წმინდა მოგება	-	1 479 592	1 479 592
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	54 137	54 137
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 533 729	1 533 729
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	500	(3 508 779)	(3 508 279)

ფინანსური დირექტორი
შახინ რზაევი
29 სექტემბერი 2022 წელი

მთ.ბუღალტერი
ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს „რამ პოლიტექსი“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	9 432	(650 204)	(640 772)
წმინდა მოგება	-	(4 392 303)	(4 392 303)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	(8 932)	-	(8 932)
პერიოდის სრული შემოსავალი	(8 932)	(4 392 303)	(4 401 235)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	500	(5 042 508)	(5 042 008)
წმინდა მოგება	-	1 479 592	1 479 592
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	54 137	54 137
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 533 729	1 533 729
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	500	(3 508 779)	(3 508 279)

ფინანსური დირექტორი
შახინ რზაევი
29 სექტემბერი 2022 წელი



მთ.ბუღალტერი
ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს „რამ პოლიტექსი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18 652 525	20 159 026
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	7 182 495	
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(23 327 529)	(20 566 685)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2 019 139)	(1 401 662)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1 030 410)	(873 646)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(60 149)	(27 452)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(602 207)	(2 710 418)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მიღებული პროცენტები	3 575	6 594
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	3 575	6 594
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან		(8 932)
სესხების აღება	1 082 626	-
სესხების დაფარვა	(784 602)	(150 412)
გადახდილი პროცენტები		(1 432)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	298 024	(160 776)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(58 114)	58 347
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(358 721)	(2 806 254)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	560 337	3 366 591
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	201 616	560 337

ფინანსური დირექტორი
შახინ რზაევი
29 სექტემბერი 2022 წელი

მთ.ბუღალტერი
ნატო სტეფანია ლაშქარავა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მიღებული და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18 652 525	20 159 026
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	7 182 495	
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(23 327 529)	(20 566 685)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2 019 139)	(1 401 662)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1 030 410)	(873 646)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(60 149)	(27 452)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(602 207)	(2 710 418)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მიღებული პროცენტები	3 575	6 594
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	3 575	6 594
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან		(8 932)
სესხების აღება	1 082 626	-
სესხების დაფარვა	(784 602)	(150 412)
გადახდილი პროცენტები		(1 432)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	298 024	(160 776)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(58 114)	58 347
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(358 721)	(2 806 254)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	560 337	3 366 591
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	201 616	560 337

ფინანსური დირექტორი

შახინ რზაევი

29 სექტემბერი 2022 წელი



მთ.ბუღალტერი

ნატო სტეფანია ლაშქარავა

შპს „რამ პოლიტექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ანგარიშის წარმდგენი პირის ძირითადი საქმიანობა

შპს „რამ პოლიტექსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი 206266896. „კომპანია“ დაარსდა 2006 წლის 11 დეკემბერს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, იოსებ ალავერდელის ქ.19. ფაქტობრივი მისამართია : საქართველო, თბილისი , იუმაშვეის ქ.19

კომპანიის დამფუძნებლები პერიოდების მიხედვით:

2018 წლიდან 2020 წლის 20 აპრილამდე 100% წილის მფლობელი შპს “RAM” (აზერბაიჯანის რესპუბლიკა).

2020 წლის 20 აპრილიდან დღემდე 100% წილის მფლობელი შპს “ტექნოპაკი” (აზერბაიჯანის რესპუბლიკა).

შპს “ტექნოპაკი” -ს 100% წილის მფლობელია შპს “PERA INDUSTRIES”(აზერბაიჯანის რესპუბლიკა), საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს რამიზ რზაევი - 80%-იანი წილის მფლობელი, არამაკონტოლებელი მხარე - შპს „პაშა ინვესტმენტ“ 20%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ზომის პოლიპროპილენის ტომრების წარმოება და რეალიზაცია. რეალიზაცია ხორციელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ ექსპორტის(რეექსპორტის) რეჟიმით შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, გერმანია, ყაზახეთი, ირანი, პოლონეთი, თურქეთი, ჩეხეთი და სხვა.

კომპანიის არამძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ქონების იჯარით გაცემა და საერთაშორისო გადაზიდვა.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 253 და 227 ადამიანს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციის შედეგად 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აგრეთვე შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. ყოველივე ამის მიუხედავად კომპანიამ შეძლო გაყიდვების გაზრდა, საერთო მოგების მარჟის შემცირების ხარჯზე. მაგრამ კომპანია დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რაც ქვემოთ არის აღწერილი:

- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 3508779 ლარს
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქვს სესხი 10092840 ლარი
- კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ექვს ბადებს არსებით განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მენეჯმენტი მუშაობს აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად. კომპანიის მიერ მოგების მარჯის შემცირება იყო გარკვეული ტაქტიკა ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის წინ წაწევა. კომპანიის გეგმა არის მარჯის აწევა თანდათანობით, უმტკივნეულოდ, გონივრულ ფარგლებში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში 1(ერთი) ლარის სიზუსტით.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

შენობა-ნაგებობები	30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	15წელი
მანქანა დანადგარები	15 წელი
საოფისე აღჭურვილობა	7-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	10 წელი
არამატერიალური აქტივები	15 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და სამკურნალო პროგრამის უზრუნველყოფას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი . კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ზანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3,504	3.3772	4.1737	0.041479
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,2766	4,0233	3,7103	4,4529	0,044031

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ

გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის

დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. შემენის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შპს „რამ პოლიტექსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში	მიწის ნაკვეთები	ნაგებობა	მანქანა დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	გაზის სისტემა	ჯამი
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	369 220	42 047	8 092 111	198 374	3 385	976 065	2 175	10 168 861
შესყიდვა	-	-	1 885 038	6 265	-	1 458 790	-	3 353 159
გასვლა	-	-	791 035	14 209	-	-	-	805 244
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	369 220	42 047	9 186 114	190 430	3 385	2 434 854	2 175	12 716 776
შესყიდვა	-	-	1 701 394	51 689	38 681	-	755	1 835 485
გასვლა	-	-	64 062	-	-	-	-	64 062
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	369 220	42 047	10 823 446	242 119	42 066	2 434 854	2 930	14 488 199
დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	10 011	280 291	34 926		194 816	327	574 820
ცვეთის ხარჯი	-	2 174	556 682	22 816	440	99 778	109	694 114
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(38 963)					(38 963)
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	12 185	798 010	57 742	440	294 594	436	1 229 971
ცვეთის ხარჯი		2 169	591 700	25 644	2 353	162 324	298	796 569
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(84 974)					(84 974)
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	14 354	1 304 736	83 386	2 793	456 918	734	1 941 565
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის ბოლოს	369 220	32 036	7 811 819	163 448		781 248	1 848	9 594 041
2020 წლის ბოლოს	369 220	29 861	8 388 104	132 689	2 945	2 140 260	1 739	11 486 805
2021 წლის ბოლოს	369 220	27 693	9 518 710	158 733	39 273	1 977 936	2 196	12 546 634

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-4

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ჯამი
2019 წლის ბოლოს	2 639	2 639
შემოსვლა	-	-
გასვლა		
2020 წლის ბოლოს	2 639	2 639
შემოსვლა	-	-
გასვლა		
2021 წლის ბოლოს	2 639	2 639
დაგროვილი ცვეთა		
2019 წლის ბოლოს	1 083	1 083
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	210	210
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
2020 წლის ბოლოს	1 293	1 293
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	260	260
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	-	-
2021 წლის ბოლოს	1 553	1 553
საბალანსო ღირებულება		
2019 წლის ბოლოს	1 556	1 556
2020 წლის ბოლოს	1 346	1 346
2021 წლის ბოლოს	1 086	1 086.140

შენიშვნა-5

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2021	31/12/2020
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	358	30 143
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	28 277	530 194
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	172 981	-
საგარანტიო თანხები	-	-
სულ:	201 616	560 337

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

შენიშვნა-6

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2021	31/12/2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 517 527	1 667 353
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან(არარეზიდენტი ექსპორტიორები)	3 671 168	4 697 052
მოთხოვნები სატრანსპორტო მომსახურებიდან	228 090	
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(1 246)	48 832
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(93 346)	(93 346)
ს უ ლ:	5 322 193	6 319 891

შენიშვნა- 7

მარაგები

	31.12.2021	31/12/2020
ლარში	8 445 093	4 823 593
საქონელი	1 305 512	1 256 326
ნედლეული და მასალები	43 043	4 020
საწვავი	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	553 668	455 219
დაუმთავრებელი მომსახურება	103 515	8 715
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი		
ს უ ლ:	10 450 832	6 547 872

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-8

სესხები	31.12.2021	31/12/2020
სესხი არარეზიდენტი ი/პირისაგან	6 530 007	7 320 175
სესხი რეზიდენტი ი/პირისაგან	3 560 779	3 420 626
სესხი ფ/პირისაგან	2 054	2 054
სულ:	10 092 840	10 742 854

სესხები	2021	2020
საწყისი ნაშთი	10 742 854	8 773 332
საპროცენტო ხარჯი	97 354	-
მიღებული სესხი	1 082 626	-
ძირი თანხის გადახდა	(784 603)	(150 412)
გადახდილი პროცენტი	(97 354)	-
გადაფასების ეფექტი	(948 038)	2 119 934
სულ მიღებული სესხი	10 092 840	10 742 854

სესხი მიღებულია დამფუძნებელი კომპანიისაგან უპროცენტოდ 5 წლის ვადით, აგრეთვე დაკავშირებული კომპანიებისაგან მიღებული სესხები არის უპროცენტო.

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31.12.2021	31/12/2020
მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები	3 364 542	704 751
ვალდებულებები სატრანსპორტო კომპანიების მიმართ	104 872	23 371
ვალდებულებები უცხოური მომწოდებლების მიმართ	13 624 253	13 401 060
გადასახდელი ხელფასები	191 362	131 927
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	337	-
მიღებული ავანსები	4 741 747	4 788 645
სულ:	22 027 114	19 049 754

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-10**ამონაგები**

ლარი

	31.12.2021	31/12/2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	5 089 730	5 376 982
შემოსავალი იჯარიდან	8 489	94 361
შემოსავალი ექსპორტიდან	18 262 642	12 978 113
შემოსავალი რეექსპორტიდან	1 385 760	251 581
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვებიდან	463 454	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13 355	102 121
ს უ ლ:	25 223 430	18 803 158

შენიშვნა-11**თვითღირებულება**

ლარი

	31.12.2021	31/12/2020
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	568 123	1 251 324
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
გაყიდული / შეძენილი საქონელი	4 292 805	4 340 358
ექსპორტის ხარჯები	-	2 000
რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულება	15 870 377	9 857 422
ს უ ლ:	20 731 305	15 451 104

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-12

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2021	31/12/2020
შრომის ანაზღაურება	632 687	315 604
საექვო მოთხოვნების კორექტირება	-	93 346
საპენსიო შენატანის ხარჯი	44 017	31 189
ერთჯერადი დახმარების ხარჯი	-	4 678
საიჯარო ქირა	674 131	660 917
საოფისე ინვენტარი ხარჯი	-	1 462
კომუნიკაციის ხარჯები	13 673	13 941
კომუნალური ხარჯები	709 454	399 181
დაზღვევა	34 900	-
რემონტი	2 590	1 229
კომპიუტერის ხარჯები	25	563
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	34 414	1 501
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	796 832	703 230
საბანკო ხარჯები	137 063	23 617
სხვა საგადასახადო ხარჯები	77 595	103 390
ლაბორატორიის და ექსპერტიზის ხარჯები	1 356	949
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	812 560	274 196
ხარჯები დოკუმენტების გარეშე, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადით	-	339
საპატრულო ჯარიმები	-	214
ს უ ლ:	3 971 298	2 629 545

შენიშვნა-13

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31.12.2021	31/12/2020
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	222 986	109 534
საერთაშორისო სატრანსპორტო ხარჯები	443 048	343 645
მიწოდების სხვა ხარჯები	14 397	-
საწვავის ხარჯები	388 587	71 145
ს უ ლ:	1 069 018	524 324

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა-14**სხვა ხარჯები**

ლარი	31.12.2021	31/12/2020
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3 514	1 575
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	-	704 325
განსაკუთრებული ხარჯები/ stop cov.ge	-	28 401
არასაოპერაციო ზარალი	21 272	1 737
ს უ ლ:	24 786	736 038

შენიშვნა-15**ფინანსური შემოსავალი**

ლარი	31.12.2021	31/12/2020
საპროცენტო შემოსავლები	3 575	6 594
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	29 102	7 954
ს უ ლ:	32 677	14 548

შენიშვნა-16**ფინანსური ხარჯი**

ლარი	31.12.2021	31/12/2020
საპროცენტო ხარჯები	97 354	394 435
ს უ ლ:	97 354	394 435

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ექვივალენტი	201616	560 337
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5322193	6 319 891
მთლიანი ფინანსური აქტივები	<u>5 523 809</u>	<u>6 880 228</u>
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(22 027 114)	(19 049 754)
მიღებული სესხები	(10 092 840)	(10 740 854)
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	(32 119 954)	(29 792 609)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	201 616	-	-	201 616
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5 322 193	-	-	5 322 193
აქტივები	5 523 809	-	-	5 523 809
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(22 027 114)			(22 027 114)
მიღებული სესხები	-	(10 092 840)	--	(10 092 840)
ვალდებულებები	(22 027 114)	(10 092 840)	-	(32 119 954)
ლიკვიდურობის პოზიცია	(16 503 304)	(10 092 840)	-	(26 596 144)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31 დეკემბერი 2021წელი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/აშშ	ლარი/აშშ	ლარი/	ლარი/
	დოლარი +20%	დოლარი -20%	ევრო+ 20%	ევრო -20%
მოგება/ზარალი	(1 441 429)	1 441 429	(4 863 418)	4 863 418

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

18. იჯარები

„მსს ფასს“-ს თანახმად იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

(ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

(გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც

საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

(დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

(ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირების შედეგად მიღებული თანხა არ წარმოადგენს ობიექტის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას. ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები აღიარებულია საოპერაციო ხარჯად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

19. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით. მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი

შესაძლო ურთიერთობების განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსათვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

შენიშვნა- 18

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2021	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	ტრანზაქციის დირეზულება 2021წელი	ტრანზაქციის დირეზულება 2020წელი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:				
დაუფარავი ნაშთების თანხა:				
სავაჭრო მოთხოვნები	572 507	497 127	213 466	516 004
სულ მოთხოვნები	572 507	497 127	213 466	516 004
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		3 468 469	1 964 903	3 316 307
გადასახდელი სესხი	3 560 779	3 420 626	1 082 626	-
გადასახდელი/გადახდილი ხელფასი	3 088	16 248	60 911	45 368
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	-	-	102 120
საიჯარო შემოსავალი	-	-	10 017	111 346
იჯარის ხარჯი	100 095	-	772 740	638 269
სულ ვალდებულებები	7 132 430	5 401 776		

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

21. სასამართლო პროცესები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული, მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლოა ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია დავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან . დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, შემოსავლების სამსახურის 2018წლის 20 ივნისის #15500 ბრძანება, აუდიტის დეპარტამენტის 2017წლის 27 დეკემბრის #007-502 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა(ძირი თანხა 68515 ლარი)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.

მმართველობითი ანგარიშგება
და საქმიანობის მიმოხილვა

2021 წლის 31 დეკემბრისათვის

სარჩევი:

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, დაარსება და ინვესტიცია.....3
2. ორგანიზაციული სტრუქტურა.....4
3. პროდუქტი.....4
4. საკადრო პოლიტიკა.....5
5. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები და გეგმების მიმოხილვა.....5
6. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები.....5
7. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....6
8. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები.....6-7

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა, დაარსება და ინვესტიცია


შპს „რამ პოლიტექქს“ (შემდგომში „კომპანია“) თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2006 წლის 11 დეკემბერს და დარეგისტრირდა თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. „კომპანია“ დაარსა აზერბაიჯანულმა კომპანიამ შპს „რამ ლტდ“ და წარმოადგენდა 100% წილის მფლობელს. აღნიშნულ მოხდა კომპანიაში რეორგანიზაცია, შედეგად დაარსდა შპს ტექნოპაკი, დღეის მდგომარეობით შპს რამ პოლიტექქსი-ს 100%-იანი წილის მფლობელია აზერბაიჯანული კომპანია შპს ტექნოპაკი თავისი საქმიანობის დასაწყისში „კომპანიის“ საქმიანობას წარმოადგენდა საცალო და საბითუმო ვაჭრობა და სხვადასხვა საქმიანობა, რაც ნებადართული იყო საქართველოს კანონმდებლობით და „კომპანიის“ წესდებით. „კომპანია“ შედის კომპანიათა ჯგუფში Pera Platic Grup, www.peraplastic.com)

მართალია ჩვენი კომპანია არა ერთი წელიწადია საქართველოში ახორციელებს თავის საქმიანობას, მაგრამ 2018 წლიდან გადაწყდა მასში სერიოზული ინვესტიციის ჩადება დამფუძნებელი აზერბაიჯანული კომპანიის მიერ, რომლის ხელმძღვანელი არის რამიზ რზაევი. სწორედამისი ძალისხმევის შედეგია, რომ ჩვენ საქართველოში, კერძოდ: თბილისში, ლილოს დასახლებაში გაიხსნა ტომრების, ძაფების, Big-bagi მწარმოებელი ქარხანა, რამელიც ძალზედ მოთხოვნადია საქართველოს ბაზარზე ისეთი დიდ კომპანიების მიერ, როგორიცაა ს.ს. „რუსთავის აზოტის“ ქარხანა, შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანეცი“ და სხვა, ასევე ჩვენი ნაწარმი იგზავნება ექსპორტზე სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენი კომპანიის ინვესტირება გრძელვადიანია. (საწყის ეტაპზე 4 000 000 ევრო იქნა ჩადებული). ჩვენი ქარხანა არის სრული წარმოების საწარმო, რომელიც ნედლეულით რთავს ძაფს, ქსოვს ტილოს ტომრებისთვის და შემდეგ ამზადებს ტომრების მრავალ სახეობას სხვადასხვა დანიშნულებისთვის (საკვები, პროდუქტებისთვის, სასუქისთვის, ფხვნილებისთვის და ა.შ.)

2020 წელს კომპანიის მიერ შეძენილ იქნა ტრაილერები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ჩვენი საწარმოს წარმოებული პროდუქციის ექსპორტირება ევროპაში და სხვა ქვეყნებში, ასევე ხორციელდება სხვა კომპანიების ტვირთების გადაზიდვა.


2. ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



Productions and Realization of LTD “RAM POLYTEX” Polypropylene bags, Big Bags **შპს “რამ პოლიტექს”**
Georgia, Tbilisi, 0150, Samgori district, Iosad Alavetzel str.19 / INN 200626896
საქართველო, თბილისი, 0150, სამგორის რ-ის, იოსად ალავეტელის ქ.19 / ი.ნ. 200626896

პეტიციონერს დიკტანტიზაცია



3. პროდუქტი

როგორც უკვე ზემოთ იქნა ხსენებული, ჩვენი ქარხანა არის სრული წარმოების საწარმო, რომელიც ნედლეულით რთავს ძაფს, ქსოვს ტილოს ტომრებისთვის და შემდეგ ამზადებს ტომრების მრავალ სახეობას სხვადასხვა დანიშნულებისთვის (საკვები, პროდუქტებისთვის, სასუქისთვის, ფხვნილებისთვის და ა.შ.). ტომრები ე.წ. Big-bagi მზადდება სხვადასხვა ზომის და გამძლეობის, რომლის ტევადობა იწყება რამოდენიმე კილოგრამით და აღის 2 ტონამდე. ჩვენივე საწარმოში ხორციელდება ტომრების ბრენდირება. ასევე ჩვენ ვამზადებთ ტომრებს პოლიეთილენის სარჩულით, ისეთი საკვები პროდუქტებისთვის, როგორიცაა შაქარი და სხვა.


4. საკადრო პოლიტიკა

საწარმოს გახსნისას თანაშრომელთა რაოდენობა არ იყო დიდი და ახლად მოყვანილი კადრი საჭიროებდა გადამზადებას, რისთვისაც სხვადასხვა სახის სპეციალისტები მოწვეულ იყვნენ აზერბაიჯანიდან, ჩვენი კომპანიის დამფუძნებელი კომპანიიდან. ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხდებოდა კადრების გადამზადება.

ამ წლების მანძილზე სულ მიმდინარეობს კადრების ზრდა და თუ 2020 წელს ჩვენ კომპანიას ჰქონდა ერთი საწარმო ერთეული, სადაც ხდებოდა როგორც ტომრების ქსოვილის წარმოება, ასევე მათი შეკერვა და შეფუთვა, ხოლო ახლა სამი საწარმო ერთეულია, კერძოდ: ერთში ტომრების ქსოვილის მწარმოებელი საწარმოა, მეორეში ხორციელდება ზომებზე ტომრების დაჭრა და ლოგოტიპის ბეჭვდა, ხოლო მესამეში ტომრების შეკერვა და შეფუთვა. დღეს დღეობით ჩვენს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 253 ადამიანს (მუშა-მოსამსახურე ადამიანი და ადმინისტრაცია). ჩვენი კომპანია დაინტერესებულია მეტი ადამიანის დასაქმებით და მათი კვალიფიკაციის ამაღლებით, ასევე სამუშაო პირობების გაუმჯობესებით. თანაშრომელთა შრომის დაფასების, მოტივაციის ამაღლების და წახალისების მიზნით ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელობა გასცემს პრემიებს.

5. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები და გეგმების მიმოხილვა.

ჩვენი კომპანიის მიზანია მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, კვალიფიციური კადრების მომზადება და ხარისხიანი პროდუქციის შექმნა. აღნიშნული კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს მეტი პროდუქციის ექსპორტზე გატანას და მის რეალიზაციას, ასევე ახალი კლიენტების/ პარტნიორების შეძენას, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში. ჩვენი საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია მოთხოვნადია, როგორც საკვებ პროდუქტთა შეფუთვისას და ტრანსპორტირებისას, ასევე მას იყენებენ სამშენებლო, მსუბუქ მრეწველობაში და უამრავ სხვა სფეროში. 2021 წელს შეძენილია 1835485 ლარის მანქანა-დანადგარები, რაც კომპანიის წინსვლის დამადასტურებელია. მოთხოვნა ჩვენი საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მზარდია და წლიდან-წლამდე იზრდება.



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 29 სექტემბერს.

შპს რამ პოლიტექსი
ფინანსური დირექტორი
შახინ რზაევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 29 სექტემბერს.

შპს რამ პოლიტექსი
ფინანსური დირექტორი
შახინ რზაევი

